ხონი

2021 წელი
8
აპრილი
ხუთშაბათი
№4 (7525)

ხონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გაზეთი

გაზეთი გამოდის 1932 წლის 5 იანვრიდან

9 აპრილი

9 აპრილის ბნელი ღამე. სისხლიანი რუსთაველი. ორლესული ნიჩბებით დაჩეხილი ქართველები. ტანკები. ქაშუეთის ატირებული ხატები. გმინვა, გოდება, ძახილი...

10 აპრილის წითელი ტიტებით აბრიალებული თბილისი. ამაყი ქართველები. კიდევ უფრო გაზრდილი, მაგრამ დაბოღმილი ახალგაზრდები... ოკუპანტი რუსეთი, კომენდანტის საათი...

მერამდენედ?! მერამდენედ?! მაგრამ მაინც ფეხზე დგას, ისევ თბილისობს, ისევ მზიანობს ჩვენი დედაქალაქი! თალხი ჩაიცვეს დედებმა - გმირი შვილების დედებმა. გლოვის ზარი ჩამოპკრავს, ხოლმე, გარინდულ თბილისში... ვერ ვთქვით სიმართლე! კვლავ ბურუსი, კვლავ ტკივილი...

ეს 1989 წლის 9 აპრილი იყო.

მას შემდეგ 32 წელი გავიდა, მას შემდეგ რუსთაველი წითელი ტიტებით ივსება ყოველ 9 აპრილს, ქაშუეთში დანთებული სანთლები დალუპულთა სულებს ეფერება და გული სიამაყით ივსება. როგორც **ლადო ასათიანი** წერს:

„თავს არ მოიკლავს ქართველი არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს,
ერთი იმედით - სიცოცხლე მარად,
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს“.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

9 აპრილს საქართველოს ეროვნული გმირის **მერაბ კოსტავას** დაბადების დღეა. ნათელი მის სულს.

მაია ფეიქრიშვილი

ხელოვნების ქურუმი

საქართველოს მოუკვდა ერისკაცი, ღვთის მადიდებელი მგალობელი, უდიდესი ფოლკლორისტი, ხალხური სიმღერების მოდარაჯე, ყველასათვის ერთნაირად ძვირფასი ადამიანი **ანზორ ერქომაიშვილი.** ნათელი მის ხსოვნას.

ხონელებს გვქონდა ბედნიერება გვეხილა მისი ანსამბლი და მოგვესმინა ჯადოსნური ხმები. დასანანია...

მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტები

ქალაქ ხონში, წერეთლის ქუჩაზე, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

ადგილზე იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის მერი **ლადო ჯურხაძე** და მერის მოადგილე **გერასიმე მჟავანაძე.** ისინი მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებს გაესაუბრნენ და სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში მოისმინეს.

პროექტი ითვალისწინებდა გზის ასფალტის საფარით მოწყობას, სანიაღვრეების მოპირკეთებასა და ეზოში შესასვლელების დაგებას. სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულებულია. ჯამში 900-მდე გრძ. მეტრ ქუჩაზე ასფალტის საფარი დაიგო.

პროექტს ახორციელებს შ.პ.ს. „ჯ და ჯ“. დაფინანსდა რეგიონული განვითარების ფონდის მიერ.

•••

ხონში მოქმედი მცირე და საშუალო სანარმოებისთვის, გერმანიის მთავრობისა და გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ საგრანტო კონკურსი ხორციელდება.

პროექტის ფარგლებში დაფინანსდა ხონში არსებული 16 ბიზნესი. თითოეულმა მათგანმა საქმიანობის გაფართოებისათვის 2000 ევროს ღირებულების მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა მიიღეს.

ა/ო ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში თავდაპირველად 30 განაცხადი შევიდა. მეორე ეტაპზე 16 აპლიკანტი გადავიდა და ბიზნეს გეგმის წარმოდგენის შემდეგ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა მათგანის დაფინანსების თაობაზე.

პროექტის მხარდამჭერი იყო ხონის მუნიციპალიტეტის მერია, რომელმაც უზრუნველყო ადგილობრივი მეწარმეების ინფორმირებულობა და ინდივიდუალური კონსულტაციები ბიზნეს -გეგმების მომზადების პროცესში.

პროექტი დევნილთა ეკონომიკურ გაძლიერებას ისახავდა მიზნად და მასში მონაწილეობა იმ ბიზნესის წარმომადგენლებს შეეძლოთ, ვისაც ჰქონდა დევნილის სტატუსი ან ამ სტატუსის მქონე პირები ჰყავდა დასაქმებული.

ავეჯის საწარმოები, სამკერვალოები, ავტო-ტექ მომსახურეობის ცენტრები, ფოტო-ვიდეო გადაღებისა და ხმის ჩამწერი სტუდიები, სილამაზის ცენტრები და მეცხოველეობის ფერმა, - ეს ის მიმართულებებია, რომლებმაც განვითარებისთვის გრანტი მიიღეს.

•••

ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში პროექტის **„თანამშრომლობა სუფთა გარემოსთვის“** ფარგლებში შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხონში იწყება პლასტმასისა და მუყაოს ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე დაიდგმება სპეციალური კონტეინერები. საბოლოოდ კი პლასტიკური ნარჩენების ვერტიკალური ჰიდრავლიკური წნეხის საშუალებით, მუნიციპალიტეტი შეძლებს შეგროვებულ ნარჩენებს მისცეს სასაქონლო სახე მისი შემდგომი რეალიზაციისათვის.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მრავალფეროვანი საინფორმაციო და შემეცნებითი აქტივობა. ასევე, ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

•••

გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მორიგი სხდომა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს ხონის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს.

•••

ა/ო თემთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასოციაცია იმერეთი, ხონის მუნიციპალიტეტის მერიისა და ASB საქართველოს ერთობ-

ლივი ძალისხმევით, ახორციელებს პროექტს **„დროებითი თავშესაფარი, კეთილგანწყობილი გარემო.“**

პროექტის ფარგლებში გარემონტდა და ინვენტარით აღიჭურვა ხონის ა(ა)იპ სათნოების სახლის რამდენიმე ოთახი, სადაც მოწყვლადი ჯგუფებისთვის, კვების უზრუნველყოფით მოეწყობა დროებითი თავშესაფარი.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

იავნანას ჯადოსნურ სამყაროში

მუსიკა რომ ცხოვრებას გვილამაზებს, და ეს ნოტებისგან შემდგარი ხელოვნება, რომ ნამდვილადაა ადამიანის მრავალმხრივი ნიჭის ულამაზესი გვირგვინი უდაოა. აკი კვლევებმაც ცხადყო, რომ მუსიკის მოსმენა ტვინს განვითარებისკენ უბიძგებს, განსაკუთრებით კი ტვინის იმ ნაწილს ანვითარებს, რომელზეც დამოკიდებულია მეტყველების გამართულობა და კითხვის უნარის გამომუშავება. მუსიკის დადებითი მხარე, როგორც მკვლევარები გვარწმუნებენ, არა მარტო მოზარდის აკადემიურ მოსწრებაზე აისახება, არამედ ვითარდება მოზარდის როგორც ინტელექტუალური, ასევე სოციალური და ემოციური უნარები, რომელიც ეხმარება სხეულს და გონებას ერთად იმუშაოს, აუმჯობესებს მეხსიერებას. არადა, არცთუ ღრმა წარსულში, ეს უმშვენიერესი ხელოვნება, ისევე როგორც ხატვა, სპორტი ნებისმიერ მასწავლებელს შეეძლო ესწავლებინა ვისაც კი დაწყებითი კლასების მასწავლებელი ერქვა... წლები გავიდა და ბევრი რამ გადახალისდა განათლების სფეროში, სწავლისადმი და ნებისმიერი საგნისადმი მიდგომაც შეიცვალა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ყველა, რომ „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“.

მუსიკას უდიდესი ჯადოსნური ძალა აქვს, შეუძლია შინიდან გაუსვლელად შემოგატაროს მთელი სამყარო, ხან აგაბობოქროს, ხანაც ტყის ბინადართა საოცარი ჭიკჭიკი მოგასმენინოს და სიმშვენიერეში ჩაფლულმა ჯადოსნურ სამყაროში იგრძნო თავი, მუსიკის ძალას ყველაზე სათუთი, თითქოსდა მივიწყებული, მაგრამ სულის სიღრმეში კვალდამჩნეული სიმების აჟღერებაც შეუძლია, დიახ, აკი კარგად ვიცით „იავნანამ რა ჰქმნა!“

მეოთხეკლასელების ფუსფუსი და საქმიანობა ჩვენთვის უცხო როდია, მაგრამ მოლოდინმა ყველაფერს გადააჭარბა, როცა საკლასო ოთახში, მუსიკაში სამოდელო ,ინტეგრირებულ გაკვეთილზე დასასწრებად მიწვეულებს, ქართული აკვნითა და თოჯინებით ხელში პატარები დაგვხვდნენ... და, აი გაისმა იავნანას ჯადოსნური ჰანგები... პატარების ნამღერი იავნანა სულში ჩამწვდომად სათუთი და მგრძნობიარე გახლდათ, თოჯინები დააძინეს და ფრთხილად, მათთვის მყუდროება რომ არ დაერღვიათ თავიანთი ადგილებისკენ დაიძრნენ...პატარებმა ყველაზე ძლიერი სულიერი მუხტი მოგვაწოდეს, თავადაც შეიქმნეს განწყობა და ჩვენც დაგვაინტერესეს...გაკვეთილის თემაც ხომ საინტერესო და მრავლისმომცველია; „სხვადასხვა ხალხის რიტუალები და მუსიკა“, მიზანი კი- განასხვაონ სხვადასხვა კუთხის აკვნის ნანები, განსაზღვრონ მათი დამახასიათებელი მუსიკალურ გამომსახველობითი ხერხები და დაუკავშირონ შესაბამის მხარეებს. და აი, **მასწავლებელიც ქალბატონი ირმა ჯალალანია,** რომელმაც ბავშვების ოსტატობით მოახდინა მოსწავლეების აუდიტორიასთან ურთიერთობის, განწყობის, ემოციების მართვის მობილიზება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურებაზე შეუმჩნევლად გადადის და შეკითხვებით მოსწავლეთა გამოწვევას ახდენს: რა დანიშნულება აქვს იავნანას? თავდაპირველადვე დასაძინებელი დანიშნულება ჰქონდა? რომელი გამომსახველობითი ხერხებია საჭირო შინაარსის გადმოსაცემად? მოსწავლეები მსჯელობენ იავნანას მშვიდ, ნაზ მელოდიაზე, ნელ ტემპზე, გაბმულ, მდორე მოძრაობაზე, მუსიკალურ ტერმინებზე. ირმა მასწავლებლის შეკითხვაზე კიდევ როგორ მოიხსენიებდნენ საქართველოში ძველად „იავნანას“ პასუხიც არ აყოვნებს, რადგან ძველად საქართველოში შვილებს აკვანში ზრდიდნენ ამიტომ „იავნანას“ აკვნის ნანებითაც მოიხსენიებენ. ირმა მასწავლებელმა მოსწავლეებისგან სწორედ ის პასუხები მიიღო, რომელმაც საშუალება მისცა გაკვეთილი კიდევ უფრო საინტერესო, მიმზიდველი და მომაჯადოებელი გაეხადა. დიახ, სწორედ აკვნის ნანების შესახებ, მის ცვლილებებს და ახალ ვერსიებს პროფესიულ მუსიკაში, განიხილავს და ასმენინებს, საკლასო ოთახში სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერების „აკვნის ნანების“ გაცნობა- ამოცნობის, კუთხეების გავლენით მათი მსგავსება-განსხვავების შესახებ დიალოგები იმართება, მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ მუსიკას, შემდეგ მსჯელობენ მის ტემბრზე, კუთხური თავისებურებების გავლენაზე.

ირმა მასწავლებელმა ბრძენკაცის იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა“ გაახსენა მოსწავლეებს, მაშინდელი საქართველოს მდგომარეობასაც შეეხო და ყველა ქართველისთვის გულში ჩამწვდომი იავნანას ჯადოსნური ძალის დემონსტრირების ფრაგმენტიც გვაჩვენა კინო ფილმიდან, ემოციებმა იძალეს, მოსწავლეთა და დამსწრეთა თვალებშიც იავნანას ზებუნებრიობის ძალით გამოწვეული ცრემლი აკიაფდა. ირმა მასწავლებელი ბავშვებს უხსნის „იავნანას“ ზებუნებრიობას, რომ ამ სიმღერის მღერა ყველა დედას შეუძლია თავისი პატარასთვის ,და რომ იმ დროს, როცა დედა შვილისთვის მღერის სულაც არა აქვს მნიშვნელობა დედის ხმისა თუ სმენის ქონა-არ ქონა, ყოველი დედის ნამღერი იავნანა საოცარი, გულში ჩამწვდომი, დაუვიწყარი, ტკბილი და განუმეორებელია. ერთმანეთს ცვლიდა **ხევსურული ნანა,** რომლისთვისაც ერთსა და იმავე მელოდიაზე სხვადასხვა სიტყვიერი ტექსტის დამღერებაა დამახასიათებელი, **სვანური ნანა,** სვანეთის მკაცრი ბუნებისა და ყოფის შესაბამისად იავნანაც თითქოსდა მკაცრია, ომახიანია, თუმცა ამავდროს ძალზედ გულში ჩამწვდომი და სამხმიანი მელოდიური სიმღერაა, მოსწავლეებმა იხილეს და მოისმინეს „იავნანას“ ახალი ვერსიები კლასიკურ მუსიკაში, კინოფილმებსა და ბალეტში, ყურადღება გაამახვილეს და ადვილად ამოიცნეს პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნაში“ გამოყენებული იავნანას მოტივზე შექმნილი ეპიზოდი ბალეტიდან **„არაბული ცეკვა“**. სახალისო აქტივობები ერთმანეთს ენაცვლება, ფერად ბარათებზე „იავნანას“ სანოტო ჩანაწერის ორი ვარიანტიდან სიმღერის სწორი ვერსიის ჩანაწერის ბარათები ფრიალებენ... ყოჩაღ! გაკვეთილის მიზანიც ხომ სწორედ ესაა -ამოიცნოს, განასხვაოს, განსაზღვროს სხვადასხვა კუთხის აკვნის ნანების დამახასიათებელი მუსიკალურ გამომსახველობითი ხერხები, დაუკავშიროს შესაბამის კუთხეებს. ირმა მასწავლებელი, და რაც მთავარია, მოსწავლეები ემოციებით აღსავსენი ირგვლივ ყველას და ყველაფერს ივიწყებენ და მხოლოდ მუსიკის ჯადოსნურ სამყაროში მოგზაურობენ. უთვალავ წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს სასახელო **მეოთხეკლასელ გოგო-ბიჭებს,** ჩვენს ნიჭიერ, მუსიკაზე, ბავშვებზე უზომოდ შეყვარებულ **ირმა მასწავლებელს,** რომლის ნებისმიერი გაკვეთილი სწორედ იმის დადასტურებაა, რომ პედაგოგებად იბადებიან!

ლია ჩიხლაძე

მილოცვა

აპრილში დაბადებულ ხონელ მედიკოსებს!

გაზაფხულის ულამაზეს თვეში დაბადებულ ევექსის მედიკოსებს ლია ღაჭავას, მარიეტა კეთილაძეს, ილია კუჭავას, გულო ჩხენკელს, რუსუდან კაკაბაძეს, ნანა ქავქანიძეს, ნანა წვერავას, ახალგაზრდა, ნიჭიერ მენეჯერს მიხეილ ჩარგეიშვილს დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვუ-ლოცავთ იუბილეებს. გაზაფხულივით ფერადი, ლამაზი, თბილი და მზიანი წლები უხვად მოგმატებოდეთ, იდღეგრძელეთ თქვენი დიდებული ოჯახებით, უფალმა დაგლოცოთ და გაძლიეროთ თქვენს პროფესიაში. მედიცინის მუშაკი არამარტო პროფესიაა, არამედ დიდი პასუხისმგებლობაა ადამიანის სიცოცხლის წინაშე. ამიტომაც დიდხანს იდექით, ღირსეულად იდექით სიცოცხლის სადარაჯოზე ჩვენო ძვირფასებო. თქვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი შესაშურია, მისაბაძია. გვეამაყებით და გვეიმედებით!

მიიღეთ ჩვენგან გულწრფელი მოლოცვა, დიდი მადლობა და კიდევ უფრო დიდი მადლიერება.

ხონელები

სიკეთე ჰქმენ, ქვაზე დადე...

დღეს, 21-ე საუკუნის საქართველოში, მძიმე პანდემიის ფონზე, ქვეყანა რომ უკიდურეს ზღვარზეა და ყველა საავადმყოფო გადაკეთებულია „კოვიდ" ცენტრად, ეს ყველამ ვიცით. ადამიანი ამ მძიმე კრიზისის დროს, შენს მიმართ რომ ყურადღებას, პატივისცემას და დიდ სიყვარულს გამოიჩენს, ათმაგად დასაფასებელია...

„მადლი ჰქმენი, ქვაზე დადე, გაიარე ნინ დაგხვდება"-ო, სწორი გამონათქვამია. მივხვდი, რომ სიკეთე არ იკარგება! ჩემი მოკრძალებული წერილით, მინდა უდიდესი მადლობა და მადლიერება გამოვხატო წყალტუბოს **„ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის"** დირექტორის, **მსოფლიო ალერგიის ორგანიზაციის (WAO)** დირექტორთა საბჭოს წევრის, **ნერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის,** წარმოშობით ხონელის, სოფ. გორდიდან უნიჭიერესი და უკეთილშობილესი ქალბატონის **მანანა ჩიხლაძის** მიმართ, რომელმაც იქ მისულს, მისთვის სრულიად უცნობ ადამიანს, მძიმე პერიოდში გვერდით დამიდგა და უდიდესი ყურადღება გამოიჩინა.

არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი პატივისცემა ქ-ნი მანანას მიმართ, აქ სიტყვებიც ზედმეტია, მისი შრომა კი უკიდეგანოდ რთული და შეუფასებელი..

...ყველაზე ძვირფასი და დიდებული, რაც ადამიანს შეუძლია გააკეთოს, არის უანგაროდ გაღებული სიკეთე. ღმერთმა ყველას მოგვანიჭა უნარი სიკეთის შეძლებისა, შეგრძნებისა, კეთებისა. სიკეთის მკეთებელი ადამიანი ბედნიერია და კიდევ უფრო ბედნიერია მისი მიმღები. სწორედ ამ განცდამ გადამაწყვეტინა ამ მოკრძალებული სამადლობელი წერილის დაწერა.

ქ-ნო მანანა, თქვენს მიმართ გულწრფელ მადლიერებას გამოვხატავ გვერდით დგომისა და იმ დახმარებისთვის, რომელიც თქვენ და თქვენმა არაჩვეულებრივმა ლაბორანტებმა გამიწიეთ.

ჩემო ძვირფასო ქალბატონებო – **მანანა ჩიხლაძე, რუსუდან იოსელიანი, ნანა ჩოგოვაძე** (ბოდიში ყველას ვერ ჩამოვთვლი) – გამაოცა თქვენმა თბილმა დამოკიდებულებამ, პროფესიონალიზმმა, რომ არა თქვენი საოცარი გულისხმიერება, მე, ალბათ, ამ ყველაფერს ვერ შევძლებდი...

ქ-ნო მანანა, კიდევ ერთხელ გიხდით დიდ მადლობას. გისურვებთ სულიერ სიმშვიდეს, ნარმატებებს პირადსა და პროფესიულ საქმიანობაში. მადლიერ პაციენტთა ლოცვა არასოდეს მოგკლებოდეთ, მინდა გითხრათ, რომ სიკეთე უკან აუცილებლად დაგიბრუნდებათ!

იხარეთ ორსავ სოფელსა შინა!

სალომე კალატოზი

ხონის მთავარი ბიბლიოთეკა 120 წლისაა

სარაიონო ბიბლიოთეკის დაარსება

1882 წელს ხონის ბაზარში **ივანე შარაშიძემ ნესტორ წერეთლის** დახმარებით წიგნის მაღაზია გახსნა.

1883 წელს გაზეთი **„დროება"** გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ხონში არის განათლების რამდენიმე კერა, მაგრამ დაბაში ვერ ნახავთ ვერც ბიბლიოთეკას, ვერც წიგნის მაღაზიასო.

უფრო მკვეთრი იყო გაზეთ **„ივერიის"** გამოსვლა ხონელების გამოსაფიზღებლად. 1895 წელს **„ივერიაში"** ხონელი კორესპონდენტი წერდა: **„ყოველ კუთხეში შეიგრძნობა სწავლა-განათლების მნიშვნელობა, ხონელებს კი არა გვეშველა რა, ამოდენა დაბაში ერთი სამკითხველო არ არსებობსო."** მართლაც, 1860 წელს მოსახლეობამ ხონში სამი ათასს, 1900 წელს - 5 ათასს, 1913 წელს კი 6 759-ს გადააჭარბა.

1895 წელს გაზეთი **„მოამბე"** აღნიშნავდა, რომ ხონელებს, კერძოდ, სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებლებს განუზრახავთ, გახსნან სახალხო სამკითხველო და მისი განყოფილებები სოფლებში.

რედაქცია **ქ შ ნ კ გ** საზოგადოებას მოუწოდებდა, თავის თავზე აეღო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა და დახმარება. ის ამ ფაქტს **„საყურადღებოსა და სასიამოვნოს"** უწოდებდა (**„მოამბე"**, 1895 წელი, 12).

პუბლიცისტი **ალექსანდრე წულუკიძე „ივერიაში"** განმეორებით წერდა, რომ **„მამა ნესტორ ლეონავას სამკითხველოს დაარსება განუზრახავს და ამისთვის თანხაც შეუკრებიაო". ნესტორ ლეონავა** მაშინ მღვდელი იყო, მერე ბერი ეპისკოპოსი გახდა, იგი ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1924 წელს როდინაულში.

რედაქციები **ივანე შარაშიძეს** მოქმედებისკენ მოუწოდებდნენ, რადგან სხვები **„თაფლში თითის რევას ვერ მორჩენენო".**

1896 წლის ერთი საბუთით დგინდება, რომ ხონელებს თანხა მართლაც შეუგროვებიათ და მთავრობისთვის ნებართვაც უთხოვიათ ბიბლიოთეკის გასახსნელად, მაგრამ საქმე გაჭიანურებულა.

1897 წელს ჟურნალი **„კვალი"** წერდა, რომ **„ხონი ისევ მოკლებულია სამკითხველოს და ამ საქმეში ხონელებს ისევ ივანე შარაშიძის იმედი აქვთ, ისევ მან უნდა ილვანოს, თორემ ზოგიერთები ხომ ვერ მორჩებიან თაფლში თითის რევას".**

ივანეს წინადადებით 1899 წელს ხონელების საზოგადო კრებამ დახმარებისთვის მიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას.

პოლკოვნიკი **ევგენი ქუთათელაძე** ამის გამო **დავით კარიჭაშვილს** წერდა: **„ხონელებმა მთხოვეს, ჩამოვიდე თბილისში და მმართველობას ვთხოვო უფლება ხონში ბიბლიოთეკის გასახსნელადო".**

1899 წლის 14 ივლისს მიღებულ იქნა გამგეობის თანხმობა, რის გამოც ხონის საზოგადოების კრებამ მიიღო დადგენილება: ეთხოვოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაგვიარსოს თავის სახელზე დაბა ხონში საჯარო საბიბლიოთეკო სამკითხველო.

ამ ბიბლიოთეკის შესანახად ვალდებულებას ვკისრულობთ, თითოეულმა ვიხადოთ არანაკლებ ერთი მანეთი.

ბიბლიოთეკის სამმართველოდ არჩეულ იქნეს კომიტეტი ხუთი კაცის შემადგენლობით.

კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ექიმი და პედაგოგი **მათე ბახტაძე,** ხაზინადარად-**იოსებ ბალანჩივაძე,** მდივნად-**მიხეილ ქუთათელაძე,** წევრებად: **ევგენი ქუთათელაძე** და **ვალერიან მებუკე,** კანდიდატებად: **ილია ნულუკიძე** და **სევერიან ჩხენკელი.**

ივანეს წინადადებით ბიბლიოთეკის პირველ გამგედ დაინიშნა **კონსტანტინე ნერეთელი,** ბიბლიოთეკით სარგებლობისთვის დაწესდა სამი თანრიგის გადასახადი: 20 კაპიკი-გაზეთებისათვის, 30 კაპიკი-წიგნის გატანისათვის და 5 კაპიკი გაზეთით და ჟურნალით ადგილზე სარგებლობისათვის.

ბიბლიოთეკა ოფიციალურად გაიხსნა 1901 წლის მაისს. მას პირველსავე წელს 300 წიგნი ჰქონდა, მათ შორის 225 წიგნი ქართული იყო.

ამ ფაქტს მიესალმა **„კვალის"** რედაქცია. ის აღნიშნავდა, რომ ხონმა დიდი ნაბიჯი ნარსდგა წინ სწავლა-განათლების საქმეში.. სამკითხველოს გამგეები იყვნენ სოციალ-დემოკრატები: **პოლიკარპე კიკალიშვილი** და **ვარლამ შავდია,** მათ **მოსიკო ჭელიძე** ეხმარებოდათ.

ბიბლიოთეკა ბაზარში იყო, ხმაურიან ადგილას, რაც ხელს უშლიდა მკითხველებს კითხვასა და აზროვნებაში, ამაზე ისევ პრესა ახმაურდა. კრიტიკამ შედეგი გამოიღო და ის **„დუქნების რიადზე"** გადაიტანეს. ახლა მის აივანზე ათასი ჯურის უსაქმური იყრიდა თავს და ლაზღანდარობდა. მათ შესახებ **ილია ბახტაძემ** ფელეტონი მოათავსა ჟურნალ **„კვალში".** მასში ვკითხულობთ: **„რამდენიმე ათეული თუ იქნება ხონში სამკითხველოში გულით მოსიარულე. ან რად უნდათ კითხვა, რაც მათ აინტერესებთ, მას უვაზეთოდაც გებულობენო".**

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1902 წელს დიდი ილია ალუშფოთებია ბიბლიოთეკით სარგებლობისთვის 5 კაპიკის გადახდას, მას უჭუამდგომლებია **ნიკო ცხვედაძესთან** და ზოგიერთი ხარჯის დაფარვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას უკისრია, რაზედაც ერის მოამაგე წერდა ხონელ პედაგოგ **ალექსანდრე მაჭარაძეს.** რადგან სამკითხველო შეუფერებელ შენობაში იყო მოთავსებული, **ილია ბახტაძემ „კვალში"** დასვა საკითხი, ხონში აეგოთ სახალხო სახლი, რომელშიც სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებლობასთან ერთად ბიბლიოთეკაც განთავსდებოდა. ხონის საზოგადოება ბიბლიოთეკის ბინის ქირად წელიწადში 90 მანეთს იხდიდა. ამრიგად, სამკითხველო ეკონომიკურ სიძნელეს განიცდიდა. 1903 წლის 20 ივლისს ისევ გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება-აკაკის **„პატარა კახის"** წარმოდგენა და ბიბლიოთეკას 20 მანეთი ერგო.

1909 წლიდან ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ: **ეფროსინე ნიკოლაძე-ჭიჭინაძისა, ეკატერინე ვორჟევა-ბახტაძისა, ნინო ნიკნიკაძე, მარიამ ქუთათელაძე, მათე ბახტაძე** და სხვები.

1901 წელს ბიბლიოთეკის ფონდით უსარგებლია 1531 კაცს, 1904 წლამდე მკითხველთა რიცხვი 6000-მდე გაზრდილა. 1909 წელს ხონში ჩამოყალიბდა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილება, რომელმაც იკისრა შეფობა ბიბლიოთეკასა და თეატრზე.

1912 წელს მღვდელმა **სპირიდონ გორდულაძემ** ხონის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 359 წიგნი, მათგან 104 ქართული, 255 კი რუსული წიგნი იყო. ამ ღვაწლის შესახებ მოზრდილი წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა **„ჩვენი ერი"** (1914 წელი, 23). ამ პერიოდში ხონის სამკითხველო ღებულობდა 26 დასახელების ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ გაზეთ **„კოლხიდას"** ცნობით ის შაბათ-კვირას და უქმე დღეებში დაკეტილი იყო.

1912 წელს გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე **ივანე შარაშიძე,** რომელმაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილებას უანდერძა საკუთარი სახლ-კარი.

1914 წელს ბიბლიოთეკა ამ ვეებერთელა სახლში იქნა გადატანილი, ახლა იქ კინო-თეატრია.

ავთანდილ ფაილოძე,
ლია ჩარგეიშვილი

ლამი ძველის საიდუმლო



ამ სათაურით დაიბეჭდა განსწავლული კაცის, უცნაური თვალთახედვისა და წინასწარმეტყველის ბ-ნი **დავით ჩირგაძის** ახალი წიგნი.

ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია ბ-ნი დავითის პროზაც და პოეზიაც. იგი სათქმელს ლამაზად და ლაკონურად ამბობს ყოველთვის. მისი შთაგონების წყარო **მოსე ხონელის** „ამირანდარეჯანიანი“ და **შოთა რუსთაველის** „ვეფხისტყაოსანია“. ჩაკირკიტებს ყოველ სტრიქონს და აკავშირებს მას თანამედროვე მოვლენებთან, ფაქტებთან და გამოაქვს უცნაური დასკვნები. ბ-ნი დავითი ხშირად ფილოსოფიურ ლაბირინთში გვამოგზაურებს, ჩვენც დაგვაფიქრებს ბევრ რაიმეზე და ნებსით თუ უნებლიედ გვხდის თანამოაზრედ ან უმეტეს შემთხვევაში ოპონენტად..

წიგნში ბ-ნი დავითი განიხილავს ქართულ ხალხურ ზღაპარს „ივანე ცისკარისა“ და „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ დასმულ საკითხებს ბუნებრივად უკავშირებს ზღაპრის ფაბულას (რა თქმა უნდა, მისი ინტერპრეტაციებით).

...ასევე საინტერესოა აფხაზეთთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები და პოეტის ახალი ლექსები, რომელსაც (რამდენიმეს) ვბეჭდავთ ამჯერად.

მაია ფეიქრიშვილი

საქართველო

რატომ უყვართ საქართველო,
ან ქართველი რატომ უყვართ?
სიყვარულის გასამრჯელო
ქართველმა თუ გასცა უხვად.
რა თქმა უნდა-რა თქმა უნდა,
არ ცივდება გული ქართლის,
ვერვინ იტყვის, დაძაბუნდა,
გზა დაკარგა მან სიმართლის.
სიყვარულის გამოხატვა
რომ არც ისე იოლია.
რამდენი რამ გვითხრა დარდმა,
დარდმა ვერ აგვიყოლია.

მე გაზაფხულის სურნელს ჩვეული

აი, აქ წრეში სიარულს მოვრჩი
და ახლა სხვა გზით ვაპირებ წასვლას,
და რომ ეს აზრი ახლაა ნორჩი
ვგრძნობ მომავალში ბედს განმისაზღვრავს.

თქვენ დაფიქრებით, ეჭვადქცეული,
იტყვით, ციცაბო გზებით დავდივარ,
მე გაზაფხულის სურნელსჩვეული
თამამად გეტყვით – წრიდან გავდივარ.

აჰ! ჩვენი გზები, სად არ იყოფა,
მაინც ერთად ვართ დაფიქრებული,
სულს სადიდებლად ისიც ეყოფა,
რომ არ იშლება ვარსკვლავთ კრებული.

რომ გამარჯვების დროშას გავშლიდით,
ამ ხალისს გული წინათაც გრძნობდა,
და დავრჩებოდით სათნო ბავშვივით,
ბავშვობა ისევ თავს გაგვაცნობდა.

ფიქრის სათავე

სად არის ჩვენი ფიქრის სათავე,
ან საძირკველი ჩვენი ოცნების,
თვალი მოვავლე, სად არ ვატარე,
ვერ ვნახე სიო გამოცოცხლების.
ისევ ჩემს გულში, სულის სიღრმეში,
ისევ და ისევ ცხარე ცრემლები,
ცრემლებს ამოყვა მწარე ნუგეში,
ვიცი ცრემლებად დავიფერფლები.
აჰ! დაფიქრებად მიღირს ყოველი
ჩემი ნაბიჯის მომდევნო წყება,
მე მოვდივარ და შენგან მოველი,
გული ხომ შენთვის სიამით დნება.
აჰ! გული-გული, იქნებ გახსოვდეს,
მხოლოდ ფიქრია სიცოცხლის წყარო
ფიქრში ჩაფლული სიცოცხლეს გრძნობდეს,
კვლავ სიყვარულით რომ გაიხარო.
სად არის ნეტავ, რასაც დავეძებთ,
ან იქნებ სულაც არ გვიღირს ძებნა,
ნუ ავჩქარდებით, აღარ დავეცეთ,
კვლავ სიცოცხლესთან მოგვიწევს შეყრა.

გული გვატკინე...

თენგიზ კაპანაძის ხსოვნას

ჩვენს ასაკში შეიძლება სრულყოფილად ვერც კი ვაცნობიერებთ რა არის სიკვდილი. ერთი კია, რომ უზომო გულისწყვეტაა ახლობელი ადამიანის გარდაცვალება. ასეთი გაოგნებულები და დაბნეულები არასოდეს ვყოფილვართ თენგო ბიძია, გული გვტკივა... და ამის მიზეზი შენა ხარ. მთასავით გვერდით გვედექი. შენ მარტო ლუკას - ჩვენი კლასელის, მამა კი არ იყავი, არამედ - თითოეული ჩვენგანის დიდი იმედი და ძალა. ყველა ექსკურსიაზე დაგვყვებოდი. როგორ გვანებივრებდი, ბავშვებს არაფერზე გულს არ გვწყვეტდი, რამდენჯერაც გვინდოდა, იმდენჯერ ვსხდებოდით გასართობ ატრაქციონებზე და ყოველთვის ფულს შენ გვიხდიდი. მერე მძღოლს რაღაცას ეტყოდი და რესტორანში გაშლილი სუფრა გვხვდებოდა... ვიხსნებთ ამ ტკბილ დღეებს და გული ძალიან გვწყდება, რომ ჩვენთან ერთად აღარ იქნები.

თენგო ბიძია, ალიკოს და ლუკას მეგობრები, მათთან ერთად, არასოდეს დაგივიწყებთ და უფალს შევავედრებთ შენს კეთილ სულს სასუფეველი დაუმკვიდროს. შენთან ერთად გვახსენდება ჩვენი მერაბი მასწავლებელი - უდროოდ იმიერში გადასახლებული. თქვენი სიკვდილი ნამდვილად თავზარდამცემი იყო ყველასთვის...

უფალს ებარებოდეთ ძვირფასო ადამიანებო.

ძუტირის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეები, მშობლები, დამრიგებელი.

თქვენს ხსოვნას ვაუკაცებო...

მერაბ თადუმაძე, კოტე ჩერქეზია, თენგიზ კაპანაძე

თქვენს ხსოვნას, ვაუკაცებო, თაობები შეინახავენ როგორც სიმბოლოს კაცურკაცობის, სიკეთის, სიმართლის, პასუხისმგებლობის, სიყვარულის და სიხარულისა...

წუთისოფლის ფერხულში სამივენი აქტიურად იყავით ჩართულნი. ხარობდით წარმატებებით, ცხოვრებით, ჭირში გვერდით ედექით ყველას და გადიოდა ტკბილ-მწარე დღეები, წლები... ულმობელმა სიკვდილმა ნაადრევად მოგცელათ ჩვენო მერაბ, კოტე, თენგო. მეხი გავარდა მოწმენდილ ცაზეო, - იტყვიან ჩვენში დიდი მწუხარების დროს და ასე იყო **მერაბ თადუმაძის** გარდაცვალება. საღ-სალამათი კაცი რამდენიმე საათში გამოეთხოვა სააქაოს. მერაბი 12 აპრილს 58 წლის გახდებოდა...

მერე იყო **კოტე (კოტიკო) ჩერქეზია**. კაცი, რომელიც ქუტირის თემის ყველა ოჯახის გულშემატკივარი, ქომაგი, მოამაგე იყო და, რომელიც დააკლდა ყველას. კოტიკო 10 აპრილს 61 წლის გახდებოდა...

თითქოს ეს საკმარისი არ იყო და **თენგიზ კაპანაძე** მეგობრების გზას დაადგა. მან ნაადრევად გაიხურა სახლის კარი, დააობლა ორი ვაუკაცი და მარადისობაში, 26 მარტს, 52 წლის იუბილე იზეიმა...

თენგო და კოტე ვაუკაცურად ებრძოდნენ სიკვდილს. განვალდნენ, თუმცა, იმედი არ დაუკარგავთ და ბოლომდე სიცოცხლის სჯეროდათ. მერაბიმ კი ვერც გაიაზრა რა დაემართა, ნამებში დაადგა გზა-მართალს...

საშინელებაა ყველაფრის გაანალიზება. თითქოს სიკვდილიც გაუფერულდა, გაახალგაზრდავდა და ყოველი ცისმარე დღე გვაახლოებს მასთან. სიკვდილის შიშმა თითოეულში დაისადგურა. ანკი რა იმედი უნდა გქონდეს ამ გაუკულმართებულ ყოფაში...

ჩვენო მერაბ, კოტე, თენგო სულით ხორცამდე შეგვძრა თქვენმა გარდაცვალებამ. გამძლეობა პქონოდეთ თქვენს ოჯახებს, კიდევ ერთხელ მიიღეთ გულწრფელი სამძიმარი ჩვენგან. სკოლა თქვენი ერთ-ერთი ქირისუფალთაგანია გჯეროდეთ.

მშვიდად განისვენეთ ჩვენო მეგობრებო. უფალს ებარებოდეთ, სულთათანა თქვენს ლამაზ სულებს. არასოდეს დაგივიწყებთ და ვაუკაცებს, ახალგაზრდებს, სიცოცხლით სავსეს და პირმომცინარეებს გაგიხსენებთ ყოველთვის. დიდებული ადამიანები არ კვდებიან! ისინი თვალთახედვიდან გადიან, ფერს იცვლიან და ისევ ჩვენთან რჩებიან...

თქვენ მუდამ ჩვენთან იქნებით!

ძუტირის აკ.ტერელაძის სახელობის საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი

მაია ფეიქრიშვილი, აკაკი, პეტო რუხაძეები იუწყებიან

თენგიზ კაპანაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ქირისუფალთ.

გაზეთ „ხონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ოთარ და კახა ქაშიბაძეებს ძმის

ოლეგ ქაშიბაძის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
მაია ფეიქრიშვილი
ტელ:577397468

სარედაქციო კოლეგია
ნინე ფანცულაია
(პასუხისმგებელი მდივანი)
ლია ჩიხლაძე
(კორესპონდენტი)

აიმ საინფორმაციო ცენტრი „ხონი“
დირექტორი ქეთევან ბახტაძე
რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.
რეგისტრაციის ნომერი 315078094.
ელფოსტა: xonissainformacio centri@yahoo.com

რედაქციის მისამართი:
ბოლოიკარბე კაკაბაძის ქ. №15,
საკრებულოს შენობა,
II სართული.

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხონელი 36“-ში
დიზაინერი თეა პაპაბაძე
ოპერატორი სალომე პალატკოზი
ქუთაისი, იელია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 22-37-11, 22-34-99.

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ
ფასი 50 თეთრი